

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტთა) ეთიკის კოდექსის (შემდგომში - ეთიკის კოდექსი) გაზიარებით, თითოეული ექსპერტი იღებს პასუხისმგებლობას, ხელი შეუწყოს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის განვითარებას და განამტკიცოს საზოგადოების ნდობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისადმი.

ეთიკის კოდექსი ეფუძნება საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ღირებულებათა სისტემას. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ექსპერტთა საქმიანობის სტანდარტებისა და ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრებასა და მათ მიერ საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.

ეთიკური ქცევის პროფესიული სტანდარტები უნივერსალურია და აერთიანებს პატიოსნებისა და ნდობის, კანონმორჩილების, მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კონფიდენციალურობის, გულისხმიერებისა და წინდახედულობის, გამჭვირვალობისა და ღიაობის, ანგარიშვალდებულების, პროპორციულობისა და პროფესიონალიზმის პრინციპებს.

I. ექსპერტის საქმიანობის პრინციპები

მუხლი 1. კეთილსინდისიერება

ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია დაიცვას კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ:

1. ექსპერტი ნებისმიერ სიტუაციაში უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს საკუთარ, სხვა ექსპერტთა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, სააპელაციო საბჭოს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეპუტაციას.
2. ექსპერტი სამსახურებრივი საქმიანობისას უნდა ხელმძღვანელობდეს ეთიკური ნორმებით;
3. ექსპერტი უნდა იყოს კონსტრუქციული და შედეგზე ორიენტირებული.
4. ექსპერტი ეფექტიანად უნდა იყენებდეს სამუშაო დროს, ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და სხვა რესურსებს.
5. ექსპერტი არ უნდა იყენებდეს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიას პირადი მიზნებისთვის.

6. ექსპერტმა უნდა აცნობოს ცენტრს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებასთან/დაწესებულების სტატუსის მამიებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ.

7. ექსპერტმა უნდა მიაწოდოს ცენტრს ინფორმაცია ყველა იმ დაწესებულების შესახებ, რომელთანაც აქვს საქმიანი ურთიერთობა.

მუხლი 2. ობიექტურობა/მიუკერძოებლობა

ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია იყოს ობიექტური/მიუკერძოებელი, რაც გულისხმობს, რომ:

ა) ექსპერტი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარი განწყობებისა და შეხედულებებისაგან;

ბ) ექსპერტი უნდა ინარჩუნებდეს ნეიტრალურობას ნებისმიერ სიტუაციაში და არ ექცეოდეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად;

გ) ექსპერტმა არ უნდა მიიღოს საჩუქარი ან სხვა ნებისმიერი სარგებელი დაწესებულებისგან ან სხვა ნებისმიერი იმ პირისგან, რომელიც ჩართულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

მუხლი 3. კოლეგიალობა

ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ:

ა) საჯაროდ/ფორმალურ გარემოში ექსპერტის აზრის გამოხატულება არ უნდა იყოს მიმართული მისი კოლეგების, ცენტრის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს და სააპელაციო საბჭოს დისკრედიტაციისაკენ. კონსტრუქციული და განმავითარებელი კრიტიკა არ ჩაითვლება მადისკრედიტებელ ქმედებად;

ბ) ექსპერტი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოჩენას.

მუხლი 4. თვითგანვითარება

ექსპერტი ვალდებულია მუდმივად ზრუნავდეს თვითგანვითარებაზე, რაც გულისხმობს, რომ:

ა) ექსპერტი უნდა გამოხატავდეს მუდმივ მზაობას, იყოს ჩართული პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში;

ბ) ექსპერტი უნდა ეცნობოდეს შესაბამის სფეროში მიმდინარე სიახლეებს.

მუხლი 5. კონფიდენციალურობა

ექსპერტი ვალდებულია არ გაასაჯაროოს ან/და პირადი ინტერესისთვის არ გამოიყენოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და შესაბამისი დოკუმენტები და დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

II. ეთიკის კოდექსის დარღვევა

მუხლი 6. ეთიკის კოდექსის დარღვევის შედეგები

ექსპერტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევა წარმოადგენს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებული წარმოების დაწყების საფუძველს.